საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/728

ქ. ბათუმი 19 სექტემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000887768 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილია ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების მე-17 მუხლის მესამე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოქტორანტთა მიერ დადგენილ ვადაში (6 ძირითადი სემესტრი და 4 დამატებითი სემესტრი) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო მიზანშეწონილი და კანონშესაბამისია მარიკა ბერიძის მიმართ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 09 აგვისტოს MES 3 22 0000887768 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მარიკა ბერიძის (პ/ნ) მიმართ, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირს (მარიკა ბერიძეს), ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოს, რომ შეუძლია **03 დღის ვადაში** წარმოადგინოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარიას) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 23 სექტემბრის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ეცნობოს შესაბამის სტუდენტს, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისს და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

5. ბრძანება სტუდენტური პორტალის მეშვეობით გაეგზავნოს შესაბამის სტუდენტს.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს და განთავსდეს შესაბამისი სტუდენტის პირად საქმეში.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**